**<u>სატენდერო წინადადება</u>**

1. შესასრულებელი სამუშაოების ჩამონათვალი და მოცულობები განსაზღვრულია ხარჯთაღრიცხვაში.
2. ტენდერში გამარჯვებულმა ორგანიზაციამ საკუთარი მასალებითა და ხარჯებით უნდა განახორციელოს ხარჯთაღრიცხვაში მითითებული სხვადასხვა სახის სარემონტო სამუშაოები. დამკვეთი იტოვებს უფლებას თვითონ შეიძინოს მასალები და უზრუნველყოს მისი ტრანსპორტირება, ამ შემთხვევაში დამკვეთი აანაზღაურებს მხოლოდ ხარჯთაღრიცხვაში მითითებულ სამუშაოების ღირებულებას და მოხდება საერთო ხარჯთაღრიცვის გადათვლა (გარდა გეგმიური მოგებისა).
3. მიმწოდებელმა სამუშაოების განხორციელების განმავლობაში საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის და არსებული ნორმების შესაბამისად, უნდა მიიღოს აუცილებელი ზომები ტექნიკური, შრომითი, სახანძრო უსაფრთხოების და გარემოს დაცვის უზრუნველსაყოფად.
4. მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს სამუშაო ადგილის ფარგლებში სამუშაოებით გამოწვეული ხმაურის, ვიბრაციის და მტვრის გავლენის მინიმუმადე დაყვანა.
5. მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაოები შეასრულოს საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმებით და წესებით, აღნიშნულ ნორმათა დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელს ყოველ კონკრეტულ დარღვევაზე დაეკისრება შესაბამისი კანონმდებლობით გათვალისწინებული ჯარიმა. ჯარიმის გადახდა მიმწოდებელს არ ათავისუფლებს დარღვევის აღმოფხვრისაგან.
6. სამუშაოების მიმდინარეობის პერიოდში, მიმწოდებლის მიერ შემსყიდველის ამ სხვა პირის ქონების დაზიანების შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით აღმოფხვრას აღნიშნული დაზიანება/მიყენებული ზიანი.
7. სამუშაოების მსვლელობისას სამშენებლო ტერიტორიაზე განთავსებული სხვა კომუნიკაციები, ასეთის არსებობის შემთხვევაში, დაიცვას დაზიანებისაგან, ხოლო დაზიანების შემთხვევაში უზრუნველყოს მათი აღდგენა.
8. სამუშაოების დასრულების შემდეგ შემსრულებელი ვალდებულია თავისი ძალებით და სახსრებით დაუყოვნებლივ გაათავისუფლოს სამუშაო ადგილი მანქანა-მექანიზმებისაგან, მოწყობილობა- დანადგარებისაგან, მასალებისაგან, სამშენებლო ნარჩენისაგან, ნაგვისგან და ა. შ. ამასთან უზრუნველყოს შენობის და ტერიტორიის დასუფთავება, მათ შორის ე.წ. რემონტის შემდგომი დალაგება-დასუფთავება.
9. ფასი გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით.
10. შესრულებული სამუშაოს სრულფასოვანი ფუნქციონირებისათვის საგარანტიო ვადა შეადგენს 1 (ერთი) წელს სამუშაოს მიღებიდან, რომლის განმავლობაშიც

მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ხარვეზების აღმოფხვრა.
11. დაინტერესების შემთხვევაში პრეტენდენს შეუძლია ადგილზე გაეცნოს არსებულ ვითარებას.
12. ანგარიშსწორება განხორციელდება, ეტაპობრივად, ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების შესახებ შედგენილი შესაბამისი "მიღება-ჩაბარების" აქტ(ებ)ის გაფორმების შემდეგ.
13. გადახდის ფორმა იქნება უნაღდო, გადარიცხვა მოხდება მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტებზე.

**ტექნიკური მოთხოვნები**

- პრეტენდენტს 2021 წლიდან უნდა გააჩნდეს სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების წარმოების არანაკლებ 500 000 ლარის საერთო ღირებულების გამოცდილება, მათ შორის ერთი ობიექტის შესრულებული სამუშაოების ღირებულება უნდა შეადგენდეს არანაკლებ 50 000 ლარს. აღნიშნულის დამადასტურებლად, პრეტენდენტი ვალდებულია წარმოადგინოს შესაბამისი ხელშეკრულებები და მიღება-ჩაბარების აქტები.
- დოკუმენტის უცხოურ ენაზე (გარდა ინგლისურისა) წარმოდგენის შემთხვევაში, მას უნდა დაერთოს საქართველო მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად დამოწმებული თარგმანი ქართულ ენაზე.

**პრეტენდეტის მიერ წარმოსადგენი დოკუმენტაცია:**

1. ხარჯთაღრიცხვა (დანართი 1) Excel და PDF ფორმატში;
2. ინფორმაცია პრეტენდეტის გამოცდილებასთან დაკავშირებით;
3. გამოცდილების დამადასტურებელი ხელშეკრულებები და მიღება-ჩაბარების აქტები;
4. სამი სარეკომენდაციო წერილი 2022 წლის შემდგომ შესრულებული სამუშაოების დამკვეთისაგან.
5. დოკუმენტაცია უნდა გამოიგზავნოს საკონტაქტო ინფორმაციაში მითითებულ ელ. ფოსტის მისამართებზე 2024 წლის 29 აგვისტოს 22:00-მდე.

**საკონტაქტო ინფორმაცია:**

ივანე ხარაშვილი 599902530
იასონ კვანტალიანი 599260980

iasonkvantaliani@gmail.com, admin@idpwa.org.ge